ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 11

კვირა, 17 იანვარი 1899 წ.

1877—1899

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

№ 11

კვირა, 17 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

დამდეგ 1899 წლისთვის დაწყებულია ხელის მოწერა

აკაკის
„კრებულზედ".

ფასი წლიურად გაუგზავნელად 6 მანეთი და გაგზავნით 7 მ. ნახევარი წლით 4 მან და ცალკე ნომერი 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება ყვირილაში კრებულის რედაქციაში და ტფილისში „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში.

(5—უ.—2)

პარასკევს, 29 იანვარს,
ტფილისის „კრუჟოკის" დარბაზში
გაიმართება
**ბალ-მასკარადი**
ავლაბარში დაარსებულ საბავშვო სახლის სასარგებლოდ.
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ბილეთის ფასი 2 მან.
(3—მ.—1)

**კბილის ექიმი**
**ა. გ. სოლოლაშვილი**
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-დგან 2-მდე და ნაშუადღევის 5-დგან 7-მდე.
მიხეილის ქუჩა № 32. (10—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
გ. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.
ი. თ. პრიტასკევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.
ა. შ. კარამეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.
საღამოობით:
გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.
ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.
ზ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

ჩარიცხულ იქმნა სათადარიგო ჯარში ნიჟეგოროდის დრაგუნთა მე 44 რაზმის კორნეტი პანჩულიძე.

დათხოვნილ იქმნა: თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ზუგდიდის განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე მიხაილოვი.

# ახალი ამბავი

*** დღეს, 17 იანვარს, ყოვლად სამღვდელო ლეონიდე, ეპისკოპოსი გორისა მწირველი ბრძანდება ანჩისხატის ტაძარში. წირვის დროს იგალობებს სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთა გუნდი.

*** პარასკევს, 15 იანვარს, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ჰქონდა. კრებაზე მიწვეულნი იყვნენ საზოგადოების ზოგიერთნი წევრნი. კრებამ აირჩია ტფილისის საბაღოსნო სკოლის მზრუნველად ბ-ნი ი. ვ. ფიგუროვსკი. შემდეგ განხილულ იქმნა მოხსენება ბ. ლომონოსოვისა, რომელიც მეთამბაქოეთა სახელით სთხოვს საზოგადოებას დანიშნულ იქმნას საგანგებო კრება და ამ კრებაზედ გამოირკვეს, რა გავლენა აქვს ეხლანდელ სააქციზო წესდებას თამბაქოს საქმეზე. სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 5 თებერვალს დანიშნა მეთამბაქოეთა კრება ზემოხსენებულ საგნის გამოსარკვევად.

*** გუშინ, 16 იანვარს, ქალაქის გამგეობის კრებამ გადასწყვიტა დაიქირავოს მელქუმოვის სახლი, ფრანგებისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხეში. იმავე კრებამ შეიწყნარა თხოვნა სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორის სტეფანოვისა „იასლის" სამკურნალოში ტელეფონის გამართვის შესახებ.

*** სამკურნალო სასანიტარო ინსპექტორმა გ. ნ. სტეფანოვმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, ავლაბარში რომ დედათა სამკურნალოა სიფილისით ავადმყოფთათვის, ქალაქის შუა-გულში იქმნეს გადმოტანილი და, გარდა ამისა, დანიშნული იქმნას კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, როგორ უნდა გადაკეთდეს ეს სამკურნალო.

*** 16 იანვარს ხმოსანმა ნ. ა. ხუდადოვმა წარუდგინა ქალაქის გამგეობას ინჟენერის ნ. პ. ისაევის მიერ შედგენილი ორი პროექტი გზისა, რომელიც უნდა იქმნეს გაყვანილი ვერის ხიდიდგან ვერის ბაღებამდე. ერთის პროექტით ამ გზის გაკეთება დაჯდება 5300 მანათად, ხოლო მეორე პროექტით—2400 მან. რადგანაც ქალაქს ფული არა აქვს, ამბობს ინჟენერი ისაევი, ისევ სჯობს მეორე პროექტის მიღება. ამ გზის გაკეთებისათვის ფულს არ დაიშურებენო, დასძენს ბ. ისაევი, მამულის პატრონები ბ. ყორღანოვი და ბ. მაკაროვი, რადგანაც გზა იმათ მამულების მახლობლად გაივლის. ბ ნ მაკაროვს უთქვამს კიდეც, თანხმავარ ამ გზის გასაყვანად რამდენიმე ფული მივცე ქალაქის თვით-მმართველობასაო.

*** ქალაქის გამგეობამ დაავალა თავისს მდივანს ბ-ნ ს. თ. ჰრელაშვილს შეჰკრიბოს ცნობანი, როგორ არის მოწყობილი სხვა-და-სხვა ქალაქების გამგეობაში საქმის წარმოება, და კიდევ შემდეგი: 1) რაოდენობა განყოფილებისა ქალაქის გამგეობაში. 2) რაოდენობა მოხელეთა გამგეობის თითო განყოფილებაში; რაოდენობა ჯამაგირისა; ვის რა თანამდებობა აბარია და რამდენი ხანია, რაც მსახურობს; 3) რაოდენობა იმ დაწესებულებათა, რომლებიც ექვემდებარებიან ქალაქის გამგეობას, 4) რაოდენობა და სია ამ დაწესებულებათა მოხელეებისა, რაოდენობა იმათის ჯამაგირისა და რა თანამდებობას ასრულებს თითოეული მოხელე; 5) რა საქმე გაუკეთებიათ ყველა ამ მოხელეებს უკანასკნელის 3 წლის განმავლობაში; 6) ცნობები მოხელეთა ოჯახობის შესახებ; 7) ვის როგორი წაქმატება მიეცა სამსახურში; 8) ვის რა სწავლა განათლება აქვს მიღებული და სხვ.

*** გუშინ, 14 იანვარს, დილის 4 საათზე ქვის ზვავი ჩამოწვა ციციანოვის აღმართზე. ინჟენერის ანგარიშით ჩამოწოლილა 12 კუბიკურის საჟენის ოდენა ქვა. კლდის ქვებმა გაანგრიეს ამ ადგილას გამართული ფიცრული და რიყის ქუჩაზე გადმოცვივდნენ. გუშინ ის ადგილი, სადაც ზვავი ჩამოწვა, დაათვალიერეს კავკასიის მთავარ მართებელმა თავ. გ. ს. გოლიცინმა, ტფილისის ვიცე-გუბერნატორმა ბ-ნმა სტეფანოვიჩმა, პოლიცმეისტერმა ბ. მასტიცკიმ და ქალაქის მოურავმა გ. გ. ევანგულოვმა.

*** გუშინ ქალაქის გამგეობამ მოისმინა მოხსენება ხორცისა და პუ-

# ფელეტონი

### ვედრება

ცაო, მთვლემს!.. ჩემის ჩანგისა
სიმთ წყობა ჰკერპობს, მდუმარებს,
ზე-შთაგონება ჩვეულებრ
ვერ მანავარდებს მწუხარეს;
ვეღარ ვუგალობ ციურს ხმებს
ჩვენს ერს, მისს არე-მარესა,
ვერ შევსტრფი მისსა მომავალს
სვესა სხივ მონარნარესა;
დიდება აზრთა აღარ მრწამს,
ვერ მხიბლავს ნაზი ბუნება,
გული სიყვარულს ვერ ჰკვესავს,
სულს ჰბორკავს დამაბუნება;
გულ-აგდებული შევცქერი
ცხოვრების ცბიერ დენასა,
მონურად მივდევ მისს ტალღებს,
ვერრას ვაუბნებ ენასა...
რაღა ვარ?—მკვდარსა ვემსგავსკი
მღილის საღრღნელად ქცეულსა,
გრძნობა-დაჩლუნგულს, სულ დახდა სენად გამოწვეულსა!.. [შულს

—

ცავ, გევედრები,—დასჭექო,
დაიგრიალო მძლავრადა,
მეხი და სეტყვა ელვითურთ
მოიღო ჩემზე მწყრალადა;
გამრისხო, გამაცამტვერო,
დამადნო ტანჯვის ცრემლადა,
წყევლა და კრულვა გულსა მკრა
მომაკვდინებელ გრდემლადა,—
თუ ვეღარ გამოვიფხიზლო
სამღერლად ძველებურადა,
რომ მით სიცოცხლე გადავდო
საერო სამსახურადა;
რომ ცხოვრებისა შავ-დენას
დავუხვდე მგოსნის ჩანგითა
და წყლული შემოპარული
ერს დავუამო ჰანგითა;
რომ მაღალ აზრთა ყვავილნი
ძმათ დავაქარგო გულზედა,
რომ ვუგალობო სიმხნესა
და წმიდა სიყვარულზედა!..

გრ. აბაშიძე

## უცხოთა შორის

იტალიის სიღარიბე.—სიღარიბე მთავრობისა.—ხალხის უვიცობა.—სიღარიბე მოხელეთა, ვექილთა, მკურნალთა და ლიტერატორთა.

თუ-კი სადმე დედამიწის ზურგზე არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომლის პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური ვითარება მოითხოვს იარაღის აყრასა და ჯარის გაუქმებას, ასეთი სახელმწიფო სწორედ რომ იტალია უნდა იყოს. საბრალო ქვეყანა! იტალია ვერ უძლებს ჯარისათვის საჭირო ხარჯსა და იტანჯება დიდის გარდასახადისაგან. საკმარისია მოვიხსენიოთ, რომ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში გარდასახადმა იმატა 200 მილიონ მანათით, სახელმწიფოს ვალმა მიაღწია 1000 მილიონს. ინგლისელთა საერთო სიმდიდრე რომ ვიანგარიშოთ, თითო კაცზე მოვა 2,100 მანათი, საფრანგეთში 2,000 მანათი, იტალიაში-კი სულ 500 მანათი. მიწად-მოქმედება, მრეწველობა და ვაჭრობა იტალიისა ძლიერ არის დაქვეითებული. მხნე და შრომის მოყვარე კაცებმაც-კი არ იციან რა ჰქმნან და რა საქმეს მოჰკიდონ ხელი. თითქოს რაღაც უზარმაზარი მაჯლაჯუნა დასწოლია თავზე ამ ქვეყანას, ხელ-ფეხი შეუკრავს მისთვის და უშლის განვითარებას. დედამიწას ვეღარ გამოუკვებგბია მცხოვრებნი, ხალხი სიმშილით იხოცება იმ ქვეყანაში, სადაც ნიადაგი უფრო კარგი და მადლიანი უნდა იყოს, ვიდრე სხვაგან. ოდესმე მშვენიერი საძოვარი და საბალახო ადგილები ხრიოკებად არის ეხლა გადაქცეული. მერე რა უნდა იყოს მიზეზი ამ გვარ დაქვეითებისა? აი რა: იტალიის ჯარის შესანახად წელიწადში იხარჯება 267 მილიონი მანათი, სამხედრო გემებზე 95 მილიონი, ხოლო მეურნეობისა, მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებაზე—8 მილიონი. საბრალო იტალია!

განა შესაძლებელია ამ პირობებში მყოფ სახელმწიფოს წინ-სვლა და განვითარება? ან რა სწავლა-განათლება უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფო მოღვაწეთა ყურადღებას იზიდავს მხოლოდ თოფი, ხიშტი და ზარბაზანი, სადაც მთავრობისათვის გერმანიისა და ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრის ხმას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელის იტალიის ერისას, რომელიც არსების პურსა თხოულობს. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთს სახელმწიფოში ყოვლად შეუძლებელია ხალხში სწავლა განათლების გავრცელება. წერა-კითხვის ცოდნით იტალია ძლიერ დაქვეითებულია ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით (100 კაცში ამ ჟამად წერა-კითხვა მხოლოდ 47 კაცმა იცის, 10 წლის წინად-კი 100 კაცში მხოლოდ 37 კაცმა იცოდა). ხოლო მცხოვრებთა რიცხვთან შედარებით იტალიაზე ბევრი უნივერსიტეტი არც ერთს სახელმწიფოში არ არის. იტალიაში ერთი უნივერსიტეტი მოდის 1.436,114 მცხოვრებზე, გერმანიაში ერთი უნივერსიტეტი მოდის 2.471,423 მცხოვრებზე და საფრანგეთში ერთი უნივერსიტეტი მოდის 2.556,138 მცხოვრებზე. კაცს ეგონება—მეცნიერების სამეფო არის იტალიაო. მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ფორერის სიტყვით, იტალიის სტუდენტებმა კარგად იციან ლათინური და ბერძნული ენები, კარგად იციან, როგორ არის მოწყობილი დანტეს მიერ აწერილი ჯოჯოხეთი, მაგრამ არ იციან არც ერთი ევროპიული ენა გარდა იტალიურისა, არ იციან არაფერი, რაც ცხოვრებაში უნდა იყოს გამოსადეგი. აი მაგალითიც: იტალიაში 23 უნივერსიტეტია და არც ერთში არ ასწავლიან მეურნეობას. უფრო საოცარია და საკვირველი შემდეგი მაგალითი.

ყველას კარგად მოეხსენება, რომ გოკირდი ძლიერ ბევრია იტალიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გამსინჯველ კომისიისა. ამ მოხსენებიდგან აღმოჩნდა, რომ ცხვრის ხორცი გირვანქა ჯდება 8,15 კაპ. და ძროხისა—7,93 კაპ. ამავე კრებამ განიხილა ბაზრის ზედამხედველის ბ-ნ ა. გ. ჯაბადარის მოხსენება, რომლიდგანაც სჩანს, რომ ამ დღეებში ტფილისიდგან გაიგზავნა ბაქოს 19,500 ცხვარი, კიდევაც აპირობენ გაგზავნას და ამის გამო ცხვარი ისე დაძვირდა ქალაქში, რომ წყვილი 9 და 10 მან. იყიდება. 13 იანვარს კიდევ ტფილისში მოვიდნენ ბათუმელი ვაჭრები საქონლის საყიდლად. ამ მიზეზებისა გამო ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეცვლილ იქმნას ხორცის ნიხრი, ძროხის ხორცზე $7\frac{1}{2}$ კაპეიკის მაგიერად დაწესდა 8 კ. ცხვრისაზე-კი 9 კაპ. 8 კაპ. მაგივრად.

⁂ წარსულ შობასა და ახალ წელიწად დღეს კავკასიის მთავარ-მართებლის კანცელარიაში ხელის-მოწერა გამართეს იმათ, ვინც არ მოისურვეს ჩვეულებრივის დარბაზობის გარდახდა. შემოსულა სულ ამ ხელის-მოწერით 387 მანეთი და 50 კაპ. ეს ფული წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების საბჭოს გარდაეცა წმ. ნინოს სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

⁂ 21 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში კრება ექნებათ „პეტერბურგის დედათა უმაღლეს სამკურნალო ინსტიტუტის მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების“ დამაარსებელთ. კრებამ უნდა მოისმინოს იმ კომისიის მოხსენება, რომელსაც განზრახულ საზოგადოების წესდების შემუშავება ჰქონდა მინდობილი.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის დროებით განყოფილების სესსია ქალაქ სიღნაღში საქმეების განხილვას შეუდგება 8 თებერვლიდგან.

⁂ როგორც უკვე ვწერდით, 14 იანვარს წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში გამართულ იქმნა ბალი. ბალზედ მიწვეული იყვნენ მოსწავლენი ტფილისის ვაჟთა გიმნაზიების უფროს კლასებისა, რეალურ სასწავლებლისა და კადეტთა კორპუსისა. ბალს, სხვათა შორის, დაესწრნენ კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ-ადიუტანტი თავ. გ. ს. გოლიცინი მეუღლითურთ, წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოების ვიცე-თავმჯდომარე უმაღლესის კარის ეგერმეისტერის მეუღლე კნ. მ. ა. შერვაშიძე და სხვანი.

⁂ როგორც ვწერდით 15 იანვარს კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება ჰქონდა, ამ კრებაზედ საბჭოს უნდა აერჩია ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგე. თუმცა ამ თანამდებობაზედ 14 კანდიდატია დასახელებული, მაგრამ საბჭომ ვერც ერთის მათგანის არჩევა ვერ გადაწყვიტა.

⁂ 13 იანვარს, ნაშუადღევის 5 საათ. და 55 წუთზედ, მუშა მატარებელი, რომელიც გაემგზავრა რკვის სადგურიდგან ქიათურისკენ, სადგურიდგან ერთის ვერსის მოშორებით დაეჯახა ვაგონეტკას, რომელშიაც იჯდა რკინის გზის რამდენიმე დღიური მომუშავე და სამუშაოდგან მიდიოდნენ რკვის მუშათა სადგურში ღამის გასათევად. ორი მუშა საშინლად დაშავდა. საცოდავებს თავები აქვთ დახეთქილი, მათი გადარჩენა საეჭვოა, ერთი მათგანი არის ს. ბოსლევის მცხოვრები გლეხი მჭედლიძე და მეორე სოფ. რკვის—კვესიტაძე, დანარჩენი მუში გადარჩნენ, რადგან დროზედ მოასწრეს ვაგონეტკიდგან გადახტომა.

⁂ „ახ. მიმ.“ ს ატყობინებენ, რომ ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწე თავ. ლორთქიფანიძე სამსახურს თავს ანებებსო. იმის ადგილას ჰნიშნავენ ქობულეთის ნაწილის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს შტაბს-კაპიტანს რეზანოვს.

⁂ ქ. ახალქალაქიდგან სწერენ „მშაკს“: დღემდის ახალქალაქის მაზრა ითვლებოდა საეროზო გარდასახადის მხრივ პირველ ხარისხის მაზრად და იხდიდა ყოველ წლივ 48,045 მანეთს საეროზო გარდასახადს. რადგანაც ამ ბოლოს დროს მაზრის მცხოვრებნი გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ადგილობრივმა ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ეს მაზრა პირველ ხარისხის ნაცვლად მეორე ხარისხად იქმნას ჩათვლილი. მთავრობას ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია, ასე რომ დასახელებულ მაზრას მომავალ სამ წელს გარდახდება წელიწადში 27,022 მანეთი ე. ი. 21,023 მანეთით ნაკლები, ვიდრე წინად.

⁂ როგორც „Черн. Вѣст.“-ი იუწყება, 14 იანვარს ბათუმში გამართულ ქართულ საღამოს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ“ საზოგადოების ადგილობრივ სკოლის სასარგებლოდ მშვენივრად ჩაუვლია. საზოგადოება იმდენად ბევრი დასწრებია ამ საღამოს, რომ დარბაზში გასასვლელ-გამოსასვლელი ადგილი აღარა ყოფილა. დაწვრილებით ცნობებს ამ საღამოს შესახებ შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ გაზ. „ახ. მიმ.“-ს დეპეშით ატყობინებენ ქ. ერევნიდგან: სამხედრო ოლქის სასამართლომ, განიხილა რა 15 იანვარს საქმე მაჰმედ მარდანის ავაზაკთა დასისა, დაადგინა: მაჰმედ და კამბარ ჩამოხრჩობილ იქმნენ, აბას და ზეინალ-განთავისუფლებულ; დანარჩენთ 15 წლით კატორგაში გაგზავნა გარდაუწყვიტა.

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, პოლიციის ბოქაულად ნამყოფს კაპიტანს მახვილაძეს ჰნიშნავენ ქუთაისის მაზრის ტყვიბულის ნაწილის ბოქაულად.

⁂ „ახ. მიმ.“-სვე სწერენ ქუთაისიდგან: 12 იანვარს, საღამოთი, აქ შემდეგი უბედურება მოხდა. ადგილობრივის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლემ პეტრე ავალიანმა (14 წლისაა) საფანტით გატენილი თოფი გაისროლა და მოჰკლა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლე კონსტანტინე ავალიანი. ამბობენ ეს მკვლელობა უცაბედად მოხდაო.

⁂ სოფ. ბებნისი, (გორის მაზრა). აქ ამ ბოლო ხანებში ქურდობა ძალიან გავრცელდა. 24—25 დეკემბერს ღამით 6 კომლი გაჰქურდეს: მღვდლებითნეს და ივ. მ—შვილს მოჰპარეს თითო ხარი; გ. მ—შვილის სახლი გასტეხეს და წაიღეს დღესასწაულებისათვის დამზადებული ტანისამოსი. უკანასკნელი ცოლ-შვილიანად კონკი ტანისამოსის ამარა დარჩა. ი. გ—შვილს მოჰპარეს ტანისამოსი, თოკი, ბადე და ასაკრავი; გ. ს—ძეს მოჰპარეს სახლიდგან (თითონ ბოსელში სცხოვრობს) სკივრი; ამოეკრიბათ, რაც რამ ყოფილიყო შიგ, სხვათა შორის, 7 მან. ფული და ცალიერი სკივრი სოფელს გარედ გადაეგდოთ; გ. ა—შვილს მოჰპარეს ბეღლიდგან დაკლული ღორი და ცული. მესამე დღეს ადგილობრივმა მამასახლისმა ბებნისში სახლები გაჩხრიკა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ნაპარევი ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ. ამ მოულოდნელის ამბის შემდეგ სოფელში შიში ჩამოვარდა: ერთმა ძაღლმა რომ დაიყეფოს, ხალხი მაშინვე კეტებით, თოხებითა და თოფებით გარედ გამოცვივდება ხოლმე და შეუდგებათ ერთი ვაი-უშველებელი.

⁂ ახალ-სენაკი. ეს მესამე თვე სრულდება მას აქეთ, რაც აქ დააარსეს კლუბი. დაარსებიდან დღევანდლამდე კლუბის წევრებად ჩაწერილა 35—მდე კაცი, წევრთა რიცხვი არა ჰმატულობს და არც ჰკლებულობს. ზოგიერთი წევრი იმის შიშსა და საგონებელს შეუპყრია, ვაი თუ კლუბმა მალე დაგვიკრას თავი, რადგანაც წევრები აღარ გვემატებაო. დარბაზი კლუბისა პატარა და უხერხულია წარმოდგენების გასამართავად, ურომლისობა კლუბისათვის დიდად მაზარალებელია. კარგი იქნებოდა, რომ მოწყენილ დაბას ხან და ხან წარმოდგენებს აჩვენებდნენ. კლუბის სახელზედ ათამდე ჟურნალ-გაზეთები მოდის, ამათში, ვგონებთ, ორიც არ არის ქართული, თუმცა-ღა, 5 კაცის გარდა, წევრები ყველანი ქართველები არიან.

⁂ პირველ თებერვლისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია განსახილველად საქმე ტფილისის მცხოვრებლის ოსეფ მესხიშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1898 წლის 12 თებერვალს, დღისით, ტფილისის სხვა-და-სხვა ადგილას დანით დასჭრა: 1, ივანე გიორგობიანი—გვერდში; 2, ოჰანეზ თუმანიანცოვი—მუცელში; 3, აზიზ უაზაროვი—ზურგში; 4, აბელ ფატალოვი—ბარძაყში: 5, ვლადიმერ ბარბაქაძე—მუცელში.

⁂ გაზ. „კავკ.“-ს ქუთაისის მაზრის სოფ. ხხენიშიდგან შემდეგ ამბავსა სწერენ: ადგილობრივ მცხოვრების ხარებაშვილის სახლში ღამე შევარდნილა შეიარაღებული ხხენიშელივე მცხოვრებელი რაზმამე სხვა შეიარაღებულ კაცებთან ერთად და მოუთხოვნია სახლის პატრონისათვის ფული ან მეტისს ნივთები. რადგან სახლის პატრონს უარი განუცხადებია, ავაზაკებს ხარებაშვილის ოჯახის ერთი წევრი დაუჭრიათ და გაქცეულან. ამბობენ, რომ პოლიციას ჯერ ჯერობით შეუპყრია მხოლოდ თვით რაზმაძე.

⁂ ქალაქის მიწის-მზომელი შეუდგა „ნაძალადევში“ ქალაქის თავისუფალ ადგილების აწერას და დაგეგმას. აზრადა აქვთ ეს ადგილები იჯარით მისცენ ღარიბ კაცებს სახლების ასაგებად.

⁂ ქალაქის სასწავლებელთა კომისიაში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლების მოსწავლეებისათვის გამართულ იქმნას ხოლმე უსასყიდლოდ საუზმეები. კომისიას აზრადა აქვს სთხოვოს საბჭოს გადასდოს ამ საქმისათვის ფული.

⁂ გაზ. „ტფ. ფურ.“ ს სიტყვით, ბორჩალოს მაზრაში, იმ ადგი-

---

და აქედგან მიაქვთ სხვა სახელმწიფოებში. იტალიაში დაარსდა სკოლა, რომელშიაც ასწავლიდნენ გოგირდის საქმეს. კაცი იფიქრებდა, ამ სკოლას იმდენი მოწაფე მიაწყდებოდა, რომ ადგილიც-კი არ დარჩებოდაო. ეს სასწავლებელი დაარსდა 1872 წელს და მას აქეთ ამ სასწავლებელში არც ერთხელ არა ყოფილა ექვს მოწაფეზე მეტი, 1883 წელს მხოლოდ ორი მოწაფე იყო და 1885 წელს მარტო ერთი. ნუ თუ საჭიროა იმისი თქმა, რომ ეს სასწავლებელი დაიკეტა.

მაშ რა კავშირი აქვს მილიტარიზმს სასწავლებლების სიმრავლესთან, იმ სასწავლებლებისა, რომლებშიაც არაფერს არ ასწავლიან ისეთს, რომ ცხოვრებაში გამოადგეს კაცს? ამის პასუხს გვაძლევს იტალიის მეცნიერი სიგელე. თურმე ნუ იტყვით, რომ იტალიის ახალგაზრდობა იმიტომ-კი არ მიდის უნივერსიტეტში, რომ იქ ცოდნა შეიძინოს, არამედ იმიტომ, რომ იტალიელ ახალგაზრდა კაცისათვის საჭიროა სამსახური, კარგი ადგილი. საჭიროა კაცი დარწმუნებული იყოს, რომ ხვალ სიმშილით არ მოკვდება. იტალიაში მკვიდრი არაფერია. კაცი ყველგანა ჰხედავს სიღარიბეს, ჰხედავს სიმშილს, ტანჯვასა და ვაებას და სრულებით არ არის საკვირველი, რომ კაცმა მოიწადინოს გაექცეს ამ საზარელ სურათს ერის სიღარიბისას, გაექცეს და შეეკედლოს დეპარტამენტს. კი არ იფიქროთ, რომ იტალიელ ახალგაზრდა კაცისათვის ბევრი რამ არის საჭირო; სრულებითაც არა; ცოტასაც დასჯერდება, მაგრამ იმასაც სცდილობს, დარწმუნებული ვიყო, რომ ნიადაგი არ გამომეცლება ფეხქვეშ და ხვალ სიმშილით არ მოვკვდებიო, და ეს მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლებელი, როდესაც მოხელის მუნდირს ჩაიცვამს. მაშინ სრულიად კმაყოფილია და ჰგრძნობს, რომ გულის საწადელს მიაღწია ბედნიერიც არის. იტალიელს მოხელეს ძლიერ მცირე ჯამაგირი ეძლევა. სასამართლოს უწყების მოხელე ღარიბ-ღატაკია, ზოგს მათგანს დღეში 1 მ. 50 კაპეიკზე მეტი არ მოსდის. ყველაზედ დიდი ჯამაგირი აქვს მოსამართლეს არა უმეტესი 900 მანათისა წელიწადში. და ისიც ასეთი დიდი ჯამაგირი ეძლევა იმას, ვინც 20 წელიწადი იმსახურა. 20 წელიწადი: ამ ხანში შეიძლება კაცი 20 ჯერ მოკვდეს სიმშილით. მასწავლებლის მდგომარეობა უფრო უარესია, ვინაიდგან ზოგს მათგანს წელიწადში ეძლევა 170 მანათისა მასწავლებელ ქალის ჯამაგირი კი არ აღემატება 140 მანათს. ძლიერ ღარიბი არის იტალიის სამღვდელოება და ჯარისკაცნი. იტალიაში იმდენი მღვდელია, მოხელე და ჯარის უფროსნი, რომ ხაზინა საჭმელ-სასმელის ფულსაც-კი ვერ ურიგებს. იტალიელს მღვდელს დღეში სულ სამი აბაზი თუ შეხვდება, მეტი არა. იტალიელი ოფიცერი უფრო ბედნიერია ამ მხრივ მღვდელზე: დღეში ერთი მანათი ეძლევა.

არც იტალიელის ვექილის ყოფა-ცხოვრებაა უკეთესი. იტალიაში სულ 31 მილიონი მცხოვრებია და ამათში 23,000 ვექილია, ე. ი. თითო ვექილი მოდის 1,350 მცხოვრებზე. სად იქნება საქმე ამოდენა ვექილთა ჯარისათვის, რომელიც შეიარაღებულია კანონთა დებულებით. საწყალ იტალიელს ლუკმა პური არა აქვს და მაინც უნდა გამოჰკვებოს ამდენი ვექილი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ იტალიელი ვექილი წელებზე ფეხს იდგავს სასამართლოში საქმის გარჩევის დროს და მერე ჯილდოდ უნდა მიიღოს... 2 მანათი. ხშირად იტალიელს ვექილს ათ შაურს ძლივს აძლევენ ხოლმე გასამრჯელოს. რადგანაც ასეთი საქმეც ცოტაა, იტალიელ ვექილებს ჰყავთ ხოლმე შუაკაცები, რომლებიც საქმეებს ეძებენ და გასამრჯელოდ რამდენსამე პროცენტს იღებენ. სარდინიასა და სიცილიაში ისეთი ვექილებიც არიან, რომელნიც გასამრჯელოს ფულის მაგიერად იღებენ პურსა, ერბოს, ღვინოს, კვერცხს, ქათმებს. ხანდახან-კი ისე გაუჭირდება ხოლმე იტალიელს ვექილს, რომ ხელობას ჰკიდებს ხელს. იტალიაში ბევრი ვექილია ისეთი, რომელიც წიგნებსა ჰკაზმავს. კონგოში რომ რკინის გზას აკეთებდნენ, უბრალო მუშათა შორის 20 იტალიელი ვექილი აღმოჩნდა.

არც იტალიელს მკურნალსა აქვს მაძღარი კუჭი. ამ ჟამად იტალიაში 22.000 ექიმია. მარტო მილანში—750, რომში—1000, ნეაპოლში 1200. ამ გვარად 530 კაცზე ერთი ექიმი მოდის. ამ გარემოების წყალობით იტალიელი ექიმი ხშირად იძულებულია ხოლმე თავისს თავს უწამლოს იმ სენისაგან, რომელიც სიმშილ წყურვილით არის გამოწვეული. ოფიციალურ სასტატისტიკო ცნობებიდგანა სჩანს, რომ ვენეციაში მკურნალი წელიწადში სულ 400 მანათს ძლივს აიღებს, მილანში—600 მანათს, რომში—450, ნეაპოლში—400, პალერმოში—300. როგორ უნდა იცხოვროს მკურნალმა თვეში 25 მანათად: გაისტუმროს სახლის ქირა, გაზარდოს შვილები და ხანდახან მაინც იაროს თეატრში!

ასეა ყველგან. ლიტერატორები სჩივიან, რომ იმათ მიერ გამოცემულ წიგნებიდგან იმდენი ფული არ შემოდის, რომ სტამბის ხარჯი გაისტუმროს. საზოგადოდ იტალიელი ჟურნალისტი მეტად ღარიბია. იშვიათად შეხვდება კაცი ისეთს რედაქტორს, რომელსაც თვეში 60 მანათი ჰქონდეს შემოსავალი. რეპორტერი თვეში 18—25 მანათს ძლივს აიღებს. წარჩინებულ მწერლებსა და პუბლიცისტებს თითო წერილში 15—20 მანათს აძლევენ. საზოგადოდ-კი სტრიქონში $2\frac{1}{2}$ კაპეიკზე მეტს ვერავინ აიღებს, რაც უნდა ნიჭიერი მწერალი იყოს. მიუხედავად ამისა იტალიაში 2000-ზე მეტი ჟურნალ გაზეთი იბეჭდება. საითაც მიიხედავს კაცი იტალიაში, ყველგან სიღარიბეა, სიღატაკე, სიმშილი...

ა. ნ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებში, სადაც ყარსის რკინის გზა გადის, ტყის ფასმა ძალიან აიწია ერთი დესეტინა ტყე 300 მანეთი და ზოგან 400 მანეთიც ღირს. ტყეს ამ მაზრაში ძალიან ბევრი მუშტარი აღმოუჩნდა. ბევრი იმ პირობით იღებს ტყეს, რომ სულ აჩეხოს იგი. შესაძლებელია ამ ადგილებში რამდენისამე ხნის შემდეგ ტყის ხსენებაც აღარ იყოს.

⁂ გაზ. „Кас".-ს სიტყვით, უცხო ქვეყნელთა ამხანაგობამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მისცენ ბაქოში ელექტრონის რკინის გზა გაიყვანონ ბაილოვიდგან ბიბი-ეიბათზედ სოფ. შიხოვამდე და რკინის გზის სადგურიდგან ბალახანამდე.

⁂ დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეს" წარსულის წლის მე-XII №-ი. შინაარსი ამ ნომრისა: „წარსულიდან.—სკოლაში წასვლამდის."—მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა; „ნატვრა".—ლექსი შ. მღვიმელისა; „ჯალათი".—მოთხრობა, ემილია პარდო ბაზანისა, თარგმანი (დასასრული); „საათი".—(საშობაო ფანტაზია) ივ. ზურაბიშვილისა; „დამონებულნი".—რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. ვაზოვისა, თარგმანი (გაგრძელება); „ბეჩელა".—ლექსი შ. მღვიმელისა; „დოყლაპია".—ამბავი, ერნსტ ფონ-ვილდენბრუხისა თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა; „სამეგრელო-სვანეთის სამთავროთა გაუქმება.—ბოროზდინისა, თარგმანი თ. ს—სი; „ბატონყმობის გადავარდნა საქართველოში" (საისტორიო ცნობა) ალ. ყიფშიძისა, „სიცოცხლე და მისი კანონი"—ვ. მოსეშვილისა. ქრონიკა: „მღაღადებელნი ციფრები".—იაკობ გოგებაშვილისა, „უცხოეთი 1898 წელს".—ლალისა. „ჟურნალ „მოამბის" 1898 წლის ნომრების შინაარსი", განცხადებანი.

პირველი ნომერი ამ წლის „მოამბისა", როგორც რედაქცია გვატყობინებს, დაურიგდება ხელის მომწერთ 30 იანვარს.

⁂ გაზ. „კავკ."-ს სიტყვით, შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა 13 იანვარს ახალ-არსენალის და კრასნოგორის ქუჩების კუთხეში. ახალ არსენალის დაღმართზედ გაქანებული მოდიოდა ეტლი, რომელშიაც ორი კაცი იჯდა. მოსახვევთან ეტლი დაეჯახა მჭედლის იოსებ ჩიატაშვილის ბავშვს თამარას და ზედ გადაუარა. ყველაზედ საზიზღარი ის იყო, რომ მეეტლემ ცხენი გააჩერა, გადმოხტა ეტლიდგან, აიღო გაჭყლეტილი ბავშვი და იქვე თხრილში გადაისროლა, შემდეგ ხელ-ახლა არხეინად გზას გაუდგა. სამწუხაროდ დამსწრეთაგან არავინ მოიფიქრა ეტლის №-ს დახსომება, ან თვით მეეტლის დაჭერა. ყველანი საწყალ ბავშვს მისცვივდნენ, რომელსაც ცალი ფეხი ტყავზედ-ღა ეკიდა და საფეთქლთან დიდი ჭრილობა ჰქონდა. დედის მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. ბავშვი საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ გზაზედ გარდაიცვალა. მკვლელი მეეტლე ჯერაც ვერ უპოვნიათ.

⁂ ამ ჟამად ტფილისის უსინათლოთა სასწავლებელში განთავისუფლდა ერთი სახაზინო სტიპენდია ქუთაისის გუბერნიისა.

⁂ პარიჟში უკვე დაუწყიათ სომხური ჟურნალის გამოცემა, პირველი ნომერი უკვე მიიღეს ტფილისში.

⁂ 15 იანვარს, ღამის პირველ საათზედ, თავად-აზნაურთა თეატრიდგან საზოგადოების გამოსვლის დროს ტფილისის მოქალაქემ არტემ სალატელიანცმა ამოაცალა ჯიბიდგან ტფილისის მოქალაქეს ლეონ ავალოვს საათი, ღირებული 23 მანეთად; მაგრამ ჯიბგირი იქვე შეიპყრეს და პოლიციას გადასცეს. სალატელიანცი მეტეხის საპყრობილეში დააპატიმრეს.

⁂ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ სადეზინფექციო კამერისათვის მოწვეულ იქმნას ერთი ფერშალი და ერთიც მოსამსახურე.

⁂ ნაძალადევში მეწვრილმანენი ძლიერ ხშირად ჰყიდიან დამპალ კალბასს, თევზს და ყველს, ნამეტურ კალბასს, რომელსაც გირვანქას 8 კაპ. ყიდულობენ, ხოლო 20 კაპ. ჰყიდიან.

## სიტყვა,

თქმული 14 იანვარს, ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს, სიონის ტაძარში გორის ეპისკოპოსის ყოვლად უსამღვდელოესის ლეონიდეს მიერ.

გიხაროდენ დაუდუმებლად მქადაგებელო სალმრთო ბაგეო!
(ნინოს დაუჯდომელიდგან)

ღვთის მზრუნველობამა და განუსაზღვრელმა სიყვარულმა ძველადვე ჰყო ჩვენი სამშობლო ყოვლად წმიდა ღვთის მშობლის წილ ხდომილად, ხოლო ღვთის-მშობლის ზეციურმა მხურვალე მეოხებამ მოუვლინა საქართველოს სხივ-მოსილი ცისკარი, რომლის სახელიც ყოველ შეგნებულ და გონიერ ქართველს ღრმად აქვს ამოჭდეული გულის ფიცარზედ და მიაჩნია სალოცავ-სათაყვანოდ. თქვენ უკვე მიხვდით, ვისაც ვგულისხმობ, ცხადად ვხედავ, რომ ამ სიტყვებთან ერთად წარმოგიდგათ გონებაში ჩვენის განმანათლებელის, მოციქულთა სწორის, წმინდა ნინოს ნათელ-მოსილი სურათი მთელის მისის სიდიადით. წმიდა ნინო! ოჰ, რამდენ მადლ და სალმრთოს, რამდენ გამამხნევებელს და ფას-დაუდებელს, რამდენს სანუგეშო და სანეტარო რამეს აგონებს ქართველის გულს ეს მოკლე და ჩვეულებრივი სახელი!.. რომელი ქართველია, წერა კითხვის მცოდნე მაინც, რომ არ უწყოდეს, რა საოცარი, რა დაუვიწყარი, გონებით მიუწდომელი და სასწაულებრივი საქმე ჩაიდინა ამ სუსტმა და უსახსრო არსებამ, აღფრთოვანებულმა მხოლოდ ქრისტეს უსაზღვრო სიყვარულით და აღჭურვილმა მარტოდ მისის პატიოსანის ჯვარით? წმინდა ნინოს ლმობიერება-სათნოებით აღვსილმა ქცევამ, მისმა ნამდვილმა დედობრივმა სიყვარულმა და იმონავა სრულიად მაშინდელის ქართველების კერპთ-თაყვანისმცემლობისაგან გამხმარ-გაცივებული, სასტიკი და განუკითხავი გრძნობა, მისმა ნათელმა, მარტივმა, დღესავით გარკვეულმა და ყველასათვის ადვილად მისახვედრმა მოძღვრებამ შეიპყრა სავსებით იმ დროის ქართველთა გონება და როდესაც ამ სახით ეს რჩეული დედა შეიქმნა მთელის ერის გრძნობა-გონების სრულ მეფედ, ერთად-ერთ ბატონად, და მბრძანებელად, რასაკვირველია, აღარაფერს სიძნელეს აღარ წარმოადგენდა მისთვის ამ ერის გაქრისტიანება, მისი სამუდამოდ დაკავშირება და საბოლოოდ შეერთება უკვდავის ძარღვით იმასთან, რომელმაც ბრძანა: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და ცხოვრება"-ო.

აგერ 1600 წელიწადი სრულდება მას უკან, რაც ამ საქართველოს ანგელოზმა მისჯაჭვა სულითა, გონებითა და გულით ქართლოსის ძენი კაცთათვის განხორციელებულს ღვთის სიტყვასა და ამოდენა ხნის განმავლობაში არც ერთხელ არ შერყეულ მოდუნებულა ქართველთა ერთგულება და სიყვარული ღვთის სიტყვის მიმართ, არ ახსოვს ისტორიას არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველებს ეღალატნოთ ნინოს მოძღვრებისათვის, აელოთ რაიმე ეჭვი ამ მოძღვრების შეურყეველ სინამდვილეზედ და დასდგომოდნენ ორგულობის გზას. სამაგიეროდ, იმავე ისტორიას არ ახსოვს ან ახსოვს და ძალიან ნაკლებად იმისთანა მაგალითი, რომ ქვეყნის რომელსამე კუთხეს, კაცობრიობის რომელსამე ნაწილს გადაჰხდენოდეს იმდენი ტანჯვა-წამება, იმდენი ძარცვა-რბევა, იმდენი ხოცვა-განადგურება, როგორც საქართველოს და ქართველებს, და, ამისდა მიუხედავად, იგი კუთხე არ გამხდარიყოს უდაბნოდ და გარეულ მხეცთა საცხოვრებელ ადგილად, იგი ხალხი არ გამქრალიყოს სრულიად, ან არ გადაქმნილიყოს მხეცთა მსგავს ველურ ბრბოთ. საქართველო-კი, ამის ნაცვლად, დღესაც მოჭედილია იმისთანა საოცნებო, ცის მსგავსის ტაძრებით, როგორიც არის სვეტი-ცხოველი მცხეთაში, ალავერდი—კახეთში, სიონი—ტფილისში და მრავალი სხვა. ქართლოსის ძენი დღესაც ისმენენ წმიდა სახარებას იმ საამურ, მკაფიო, სიმშვენით სავსე, პატიოსნებით შემკობილ და ყოველის აზრის ზედმიწევნით, სრულის სინამდვილით გამომეტყველ ენაზედ, რომლითაც ღირსმა დედა ნინომ გააცნო მირიანს და მთლად მისს სამფლობელოს იესო მაცხოვარი. დიაღ, საკვირველია და ყველასაც უკვირს ეს გარემოება, მაგრამ ამასთან ყველასა სჯამს და აღიარებს, რომ ეს საოცარი მოვლენა არის პირდაპირი შედეგი წმიდა ნინოს ქადაგებისა, ყველაფერი ესე მოხდა იმის გამო, რომ საქართველოში არასოდეს არ დადუმებულა მოძღვრებისაგან წ. ნინოს ს ღმრთო ბაგე; არასოდეს არ მოჰკლებიათ, და დღესაც ისევ ცხადათ ესმით ქართველებს თავიანთის განმანათლებელის უკვდავი, სამარადისო, ნეტარ მყოფელი და საწადელი სწავლა-მოძღვრება. მაშ რა არის, თუ არ ცოცხალი და წმინდა ნინოს პირადი სწავლა-მოძღვრება, თუ არა იგივე ნინოს პირიდგან გადმომდინარე ქადაგება ეს დღევანდელი სადღესასწაულო გამოსვენება წმინდა ჯვარისა, იმ ჯვარისა, რომელიც უტარებია ნინოს თავისის ხელით, რომელიც შეკრულია მისის თმის ნაწნავით, რომელიც მოწამეა მირიანისა, დედოფალის ნანახი, ქართველთ მთავრებისა და მთლად ქართველის ერის ნათლისღებისა მცხეთაში, ქართველების იორდანე-მტკვარში!

ნუ გამოვაკლდებით, საყვარელნო შვილნო, ჩვენ წინაპართა ბრწყინვალე გუნდს, ფართოდ გაუღოთ ჩვენც მათებრ ყურთა-სმენის კარი ჩვენის განმანათლებელის დღევანდლამდე დაუდუმებელ ქადაგებას, ვასწავლოთ ჩვენს შვილებსაც ამ სალმრთო მოძღვრების დაუზარებლად სმენა-დამარხვა, ვიხაროთ კვლავაც დღევანდებურის სალმრთო სიხარულით და შევძღვნათ ჩვენს სასიქადულო დედას ასეთი გალობა. „გიხაროდენ დაუდუმებლად მქადაგებელო სალმრთო ბაგეო"! ამინ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**მცხეთა.** რაღა დრეიფუსის საქმე და რაღა მცხეთის მიკიტნებისა. მგონი ამ უკანასკნელთა საქმე უფრო აწეწილი იყოს და გაუგებარი. როგორც წინადაც მოგახსენეთ, მთავრობის განკარგულებით მცხეთაში დუქნების რიცხვი შემცირდა. 22 დუქნიდგან მარტო ხუთი-ღა დარჩა. ხალხი სიამოვნებით მიეგება დუქნების რიცხვის შემცირებას, მხოლოდ მიკიტნებს არ ეჭაშნიკათ ესა და ასტეხეს ერთი აყალ-მაყალი: ხან ბოქაულს მიაწყდნენ, ხან მაზრის უფროსს, ხან გუბერნატორსა, მაგრამ, მთავრობის განკარგულება შეურყეველი დარჩა. ხმა მაღლა გაჰკივიან და ქვეყანას ემუქრებიან: „იქნება ჰგონიათ, რომ ჩვენ არა გვესმოდეს-რა, პირდაპირ სინოდში ვიჩივლებთო". ამ გზით რომ ვერას გახდნენ, მერე სთქვეს „დავკეტოთ დუქნები და სოფელი შიმშილით ამოვწყვიტოთო". მაგრამ არც ამ აზრს დაადგნენ, რადგანაც თავიანთ თავს უფრო ამოსწყვეტდნენ, ვიდრე სოფელსა. ბოლოს ყველა მიკიტანი ერთმანეთს მიუამხანაგდა და ხუთს დუქანში მოთავსდნენ. იმით-ღა ანუგეშებენ თავიანთ თავსა, რომ ეხლა მთელის სოფლის სული ჩვენ ხელშია და როგორც გვინდა, ისე გავყიდით სანოვაგესაო.

სოფელმა სამიკიტნო დუქნებს საერთოდ ათი თუმანი წაუმატა, მაგრამ მიკიტნებმა იუარეს და თავისი გაიყვანეს.

მცხეთელები, ღმერთმან იცის, არ არიან ურიგო ხალხი და არც ჭკუა აკლიათ, მაგრამ რისაგან არის, რომ ამ ერთ მუჭა მიკიტნებს თავისი გაჰყავთ და მთელს სოფელს, საითაც უნდათ, თავს იქით უშვრებიან. სასურველია, გამოირკვეს, ვისგანა აქვთ ზურგი გამაგრებული, რომ მთელის სოფლის საზარალოდ და სამარცხვინოდ, რაც უნდათ, იმას სჩადიან.

ა. მ.

## რუსეთი

ამ ახლო მომავალში დაარსებულ იქმნება პეტერბურგის გუბერნიაში სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი გლეხთა ქალებისათვის. ასეთი სასწავლებელი პირველი იქნება რუსეთში. აზრადა აქვთ ამ სასწავლებელში შემდეგი საგნები ასწავლონ: მერძეობა, ცხვრის მოშენება, მეაბრეშუმეობა, შინაურ ფრინველის მოშენება, ბაღოსნობა და სხვა.

— ფინანსთა სამინისტრომ გადასწყვიტა გაგზავნოს იმ ადგილებში, სადაც შინა-მრეწველობას მისდევენ, მცოდნე კაცები ამ მრეწველობის მდგომარეობის შესასწავლად და აგრეთვე იმ ზომების გამოსაკვლევად, რომელთა შემწეობითაც შესაძლებელი იქმნება შინა-მრეწველობის განვითარება და გაძლიერება.

— აზრადა აქვთ მოახდინონ პეტერბურგსა ან მოსკოვში სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება. კრებამ უნდა განიხილოს ხელოსანთა საქმეები და საჭიროებანი. სხვათა შორის კრებას ლაპარაკი ხელოსანთა შეგირდების მდგომარეობის შესახებაც ექმნება.

— რიაზანო-ურალის რკინის გზის გამგეობამ ამ გზის ყველა მუშები დააზღვია ერთს დამზღვევ საზოგადოებაში. ყოველ წელიწადს რკინის გზამ საზოგადოებას უნდა მისცეს 150,000 მანეთი.

— როგორც „Тор.-Пром. Газ." იუწყება, ამას წინად საერო განათლების სამინისტროსთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც, საერო განათლების სამინისტროს წარმომადგენლების გარდა, არიან სასულიერო უწყების, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროების წარმომადგენელნიც. უმთავრესი საგნები, რომელნიც კომისიამ უნდა განიხილოს არიან: სახალხო კითხვების გამართვა, სახალხო სამკითხველოების, წიგნთ-საცავების და წიგნების საწყობების დაარსება. კომისიას რამდენიმე სხდომა უკვე ჰქონია.

— სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, ლაპარაკია აღძრულია იმის შესახებ, რომ საბეითალო გამგეობა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაცვლად, მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს დაუმორჩილონ.

## უცხოეთი

**გერმანია.** მომავალს ივნისში ქალაქი ფრანკფურტი უდიდეს დღესასწაულს გარდაიხდის გიოტეს დაბადების შემდეგ 150 წლის შესრულების გამო. ეხლავე რამდენიმე კომიტეტი აურჩევია ქალაქს დღესასწაულისათვის პროგრამის შესადგენად. დღესასწაული სამს დღეს გასტანს; ქალაქი გაჩირაღდნებული იქმნება, გაჰმართვენ ბალებს, სახალხო ნადიმებს, მარულას, უფასო წარმოდგენებს და ფაკლებით სეირნობას. აზრად აქვსთ აგრეთვე სახალხო ნადიმი გაჰმართონ ტყეში, სადაც გიოტეს უყვარდა ხშირად სეირნობა.

**ბელგია.** გაზეთებში ხმა გავრცელდა, რომ პეტერბურგიდგან წინადადება მივიდა ბრიუსელში,—ის კონფერენცია, რომელმაც ღონისძიება უნდა გამოსძებნოს მხედრობისა და შეიარაღების შესამცირებლად, ბრიუსელში შეიკრიბოსო.

**იტალია.** რამდენიმე ქალაქში დიდი უწესოება მოუხდენიათ უნივერსიტეტების სტუდენტებს. პალერმოში, მაგალითად, დიდად დაუზიანებიათ სტუდენტებს უნივერსიტეტის შენობა: დაუმტვრევიათ კარები და სკამები, დაულეწნიათ ფანჯრები ჩარჩოებიანათ და შვეიცრის ოთახისთვის ცეცხლის წაკიდება სდომებიათ. პოლიციელები და ჯარის კაცნი მიშველებიან უნივერსიტეტს და წესიერება აღუდგენიათ, რის შემდეგაც უნივერსიტეტი დაკეტილ იქმნა. პალერმოდგან უწესოება გადასულა ნეაპოლში: იქაც ზდომებიათ სტუდენტებს უნივერსიტეტის დალეწვა, მაგრამ ჯარის კაცთა შემწეობით საქმეს აქამდე არ მიუხწევია. უწესოების მიზეზად იმას ასახელებენ, ვითომც სტუდენტებს ეგზამენების წეს-რიგის შეცვლა ეთხოვოსთ მთავრობისთვის, მაგრამ მათი თხოვნა არ დაეკმაყოფილებინოს სახალხო განათლების მინისტრს.

**ესპანია.** ესპანელებს ძლიერ აფიქრებს ის გარემოება, რომ ინგლისელები ჰიბრალტარის ერთობ ამაგრებენ. უკანასკნელ თვეებში ინგლისს გაუორკეცებია თურმე იქაური ჯარი და იმდენი სურსათი და სამხარი იარაღი მიუზიდნია, რომ კაცს ეგონება, ომი კარზედ ადგაო. ამ გარემოებას ისიც ზედ დაერთო, რომ ჰიბრალტარის გარშემო დიდმალს მამულებს იძენენ ინგლისელები, რა ფასადაც უნდა იყვეს. ჰფიქრობენ, ვითომც ამას განზრახ სჩადიოდნენ ინგლისელები, რათა უკმაყოფილება გამოიწვიონ ესპანელების მხრივ, რომ შემდეგ ინგლისის მთავრობას საბუთი მიეცეს ამგვარად საქმეში ჩარევისათვის. ესპანიის მთავრობას სიმაგრეების აგება დაუწყია სიერა კარბონენასთან, ჰიბრალტარის მახლობლად, მაგრამ მერმე ისევ თავი დაუნებებია, რადგან შეშინებია, ვაი თუ ინგლისმა ისწყინოსო.

პატარა პორტუგალიის მხრივაც მიუნდობლობა დაერღვა ესპანიას: იქაურმა გაზეთებმა ხმა გაავრცელეს, ვითომც ესპანიას აზრად ჰქონდეს პორტუგალიის შეერთება, რათა ის დანაკლისი შეივსოს, რომელიც ამერიკასთან ომის გამო მოუვიდა. გაზეთების აგიტაციას ადვილად მეუძლიან ხალხის გატაცება, რის გამოც, შესაძლებელია, ამ ორ სახელმწიფოს მართლაც დიდი უთანხმოება მოუვიდეს ერთმანეთ შორის. ესპანიაში ჰფიქრობენ, რომ ინგლისელებმა განგებ აალაშქრეს ჩვენ წინააღმდეგ პორტუგალიის პრესა, რათა ჩვენ შორის უთანხმოება ასტუდეს და შემდეგ თითონვე ისარგებლოს ამითო.

—

**ამერიკა.** გერმანიის ელჩმა ვაშინგტონში წინააღმდეგობა განაცხადა კონგრესის წევრის ბარის სიტყვების გამო. როგორც ვიცით, ბარმა სთქვა, რომ შეერთებულმა შტატებმა, შეიძლება, გერმანიასაც ისევე ასწავლოს ჭკუა, როგორც ესპანიას ასწავლაო. ბარის ეხლა უთქვამს, რომ მე ძლიერ დიდს პატივსა ვსცემ გერმანიას, მაგრამ არ მიყვარს მისი მთავრობისა და იმპერატორის დამოკიდებულება ამერიკასთანო. ჩემს სიტყვებს მე უკანვე არ წავიღებ, და გერმანიის რეიხსტაგის რომელიმე წევრი ჩემგან ანგარიშის მოთხოვნას თუ მოიწადინებს, მე ყოველთვის მზადა ვარ მისი სურვილი დავაკმაყოფილოო. ჩემი ადრესი არის: ნიუ-პორტი, კენტუკიო.

ჰფიქრობენ, რომ დიპლომატიურის მოლაპარაკებით გაიავდება ეს უსიამოვნება ამერიკასა და გერმანიას შორისო.

—

**კუბა.** ამერიკელებმა, ჩაიბარეს თუ არა ეს კუნძული, მაშინვე ახალი წესრიგი შემოუღიათ იქ. უცხო ქვეყნების საქონელზედ იმათ ბაჟი შეუმცირებიათ; ახალი ბაჟი 62 პროცენტით ნაკლებია თურმე იმაზედ, რომელიც ომის წინად არსებობდა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სანტ-იაგოს დამოუკეს 25 პროცენტი მოჰმატებია შემოსავალი იმასთან შედარებით, რამდენიც ომის წინად შესდიოდა. ეს გარემოება, რაღა თქმა უნდა, იმის მომასწავებლად მიაჩნიათ, რომ კუნძულის აღებ-მიცემობამ გაიღვიძა და წარმატების გზას დაადგაო. ახალს მთავრობას მოუსპია აგრეთვე ბაშფორთები და ღერბის ქაღალდები, რითაც დიდი შეღავათი მიეცა მკვიდრთათვის და გაუადვილებია თავისუფლად მისვლა-მოსვლა და ერთმანეთთან პირობის შეკვრა. ესპანიის მფლობელობის დროს, როცა უძრავ მამულს გაჰყიდდა ვინმე, ხაზინის სასარგებლოდ ბაჟი უნდა გადაეხადა მსყიდველს. ეხლა ამერიკის მთავრობამ ეს ბაჟი მოსპო და ამის გამო უძრავ მამულებს ფასი მიჰმატებიათ. გარდა ამისა იმედი აქვსთ, რომ კუბიდგან მიტანილს შაქარზედაც მოისპობა ბაჟი შეერთებულს შტატებშიო, და ეს იმედი თუ მართლა გამართლდა, კუბა ერთი უმდიდრესი ქვეყანა გახდება.

## დამაკვირდი

პირველი ხარისხი სიბრძნისა ესე არს: რათა იცოდე უმეცრებაჲ შენი.

გიორგი ჯანთიშვილი

* * *

მეგობარი უკვართ მეგობართ საყვარელნი, ხოლო მტერთა სძაგან მტერთა მათთა მოყვარები

ნიკოლოზ ტფილელი

* * *

ვითა ზღვათაგან გამოვლენ წყარონი და მდინარენი და ზღვასავე ერთვიან,ეგრეთვე რაცხე ქვეყანაჲ და ხმელნი, რამეთუ ყოველ იგე მიწიდამ მიზეზობენ და მიწადვე ისწრაფიან.

მიტროპოლიტი იონა

## დეპეშა

15 იანვარი

**ბერლინი.** იმპერატორმა უბოძა რუსეთის ელჩს ოსტენ-საკენს ორდენი შავის არწივისა.

**ლონდონი.** შინაგან საქმეთა სტატს-სეკრეტარმა რიდლეიმ ბლეკპულში წარმოსთქვა სიტყვა და განაცხადა, საბუთები მაქვს ვიფიქრო, რომ მშვიდობიანად გაანაწილებენ ბახრ-ელ-გაზელსა და სხვა იმ ადგილებს, რომელიც სადაოდ გამხდარა ინგლისსა და საფრანგეთს შორის. რადლეიმ დაუმატა, რომ მთავრობამ საფუძვლიანად სცნო რუსეთის სურვილი ჩრდილო-ჩინეთში გაბატონებისა. მაგრამ, ამასთანავე გადასწყვიტა თვითაც ისეთივე გავლენა იქონიოს ამ ადგილებში, როგორიც აქამდის ჰქონდა. ინგლისის მთავრობამ მეტად თანასაგრძნობელი პასუხი მისცა რუსეთის იმპერატორს სამშვიდობო კონფერენციის შესახებ და დანიშნა თავის მხრივ დელეგატები. თუმცა კონფერენციას ბევრი დაბრკოლება შეჰხვდება, მაგრამ რამე სარგებლობას მაინც მოიტანს იგი. ყოველს შემთხვევაში ძლიერი ფლოტი აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ინგლისისათვისაო.

**პარიჟი.** დღეს დაიწყო განხილვა ქ—ნ ანრის საქმისა რეინაკის წინააღმდეგ. რეინაკის ვექილმა, ლაბორიმ განაცხადა, რომ ეს საქმე უნდა გადაიდოს იმ დრომდე, ვიდრე დრეიფუსის საქმის ხელ-ახლა განხილვა დასრულდებოდეს. ლაბორიმ სთქვა, ეს საქმე იმ აზრით დაიწყეს, რომ ხელი შეუშალონ დრეიფუსის საქმის ხელ-ახლად განხილვის გადაწყვეტას. მაგრამ საკასაციო სასამართლომ განაგრძო საქმის განხილვა. ლაბორიმ განაცხადა, მე წინდაწინვე ვემორჩილები განაჩენს, თუ ამას მოისურვებენო.

**პარიჟი.** ანრი-რეინაკის საქმე. ქ-ნ ანრის ვექილი, სენტ ობანი წინააღმდეგია საქმის გადადებისა. ლაბორის უნდოდა პასუხი მიეცა, მაგრამ თავმჯდომარემ სიტყვის წარმოთქმის ნება მთავარ-ბრალმდებელს ლომბარის მისცა. ამ უკანასკნელმა განაცხადა, ამ საქმის გადადება არ შეიძლებაო. ლაბორი თავისას ამბობს,—უნდა გადაიდოსო. სასამართლომ უარჰყო ლაბორის წინადადება. ლაბორიმ განაცხადა, რომ საქმის განსაჩივრებას მოვითხოვო.

**პარიჟი.** რამდენმამე ანარქისტმა და ანტისემიტმა, ასე ორ საათზედ, სასამართლოს შენობასთან მოიყარა თავი და ყვირილი დაიწყო. პოლიციამ გაჰფანტა ისინი.

**ბერლინი.** იმპერატორის დაბადების დღე ჩვეულებრივად იდღესასწაულეს. დაესწრნენ: საქსონიის მეფე, დიდი ჰერცოგი ბადენისა, ვეიმარისა და სხვა მეფენი და პრინცები.

თავადს გერბერტ ბისმარკს გენერალ-მაიორობა ებოძა.

**მანილია.** ოფიციალური გაზეთი ფილიპეს კუნძულებისა იუწყება, რომ მალოსში მომხდარმა კონგრესის კრებამ დაამტკიცა ფილიპინის რესპუბლიკის კონსტიტუცია, გამოუცხადა ნდობა აგვინალდოს და დაავალა, თუ საჭირო იქმნება, ამერიკელებს ომი გამოუცხადეო.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანის ირადეში ნაბრძანებია დაარსდეს 12 ახალი სარეზერვო ცხენოსანთა რაზმი, თითო 4 ესკადრონი. ეს რაზმი მიემატება კონსტანტინეპოლისა, ადრიანოპოლისა და სოლონიკის კორპუსებს. ჯერჯერობით აგროვებენ ცხენებს იმ ჯარის-კაცთათვის, რომელთაც ნიზამში უმსახურნიათ.

ადრიანოპოლში მოვიდა კომისია, რომელიც შესდგება მთავარ შტაბის სამის ოფიცრისაგან. კომისია მოვიდა იმის გამო, რომ უკვე დამთავრდა ყოველივე საქმე ამ ციხის გასამაგრებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 15 იანვარი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | — „ | 225 |
| 3½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 96 | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 101 | — „ | |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 100 | — „ |
| 4½% იმავე ბანკისა | — „ | — | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100¼ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 290¾ |
| 5% მეორე შინაგან სესხის მოგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 270¾ |

—✦✦—

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ მიიღო 1898 წ. ქრისტეშობისთვის განმავლობაში:

1) საწევრო ფული:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1) თ. სარდიონ სვიმონის ძე ამირაჯიბისაგან . . . . . . | 6 | „ |
| 2) დავით გიორგის ძე ალადაშვილისაგან . . . . . . . | 6 | „ |
| 3) ვასილ გარსევანის ძე ბერელაშვილისაგან . . . . . . . | 6 | „ |
| 4) კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძისაგან . . . . . . . . | 6 | „ |
| 5) ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილისაგან . . . . . . . | 6 | „ |
| 6) დავით გიორგის ძე კარიჭაშვილისაგან . . . . . . . | 6 | „ |
| 7) ევტიხი მამინაიშვილისაგან . . | 6 | „ |
| 8) ივანე გიორგის ძე რატიშვილისაგან . . . . . . . . | 6 | „ |
| 9) გიორგი იოსების ძე საავაშვილისაგან . . . . . . . . | 6 | „ |
| 10) ნიკოლოზ ზებედეს ძე ცხვედაძისაგან . . . . . . . . | 6 მ. | |
| 11) დიმიტრი თომას ძე ხოშტარიასაგან . . . . . . . . | 6 | „ |
| სულ | 66 მ. | |

2) ყულაბით შეგროვილი ფული:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1) ლიუბოვ ანანიაშვილისაგან . . | 6 | 67 |
| 2) ზაქარია გიორგის ძე ერისთავისასაგან . . . . . . . | 6 | 96 |
| 3) დომინიკე მდივნისაგან . . . | 5 | 51 |
| 4) რაჟდენ ჯაჯანაშვილისაგან . . | 3 | 44 |
| სულ | 22 მ. | 58 კ. |

3) შემოწირულებანი:

| | მ. | |
|---|---|---|
| 1) კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძისაგან სახსოვრად გარდაცვალებულის თავის მამისა . . . | 50 | „ |
| 2) საზოგადოების აგენტის თომა მთავრიშვილისაგან . . . . . | 42 | „ |
| სულ | 92 მან. | |

გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის ფულის შემომწირველთ.

## წერილები რედაქციის მიმართ

—

სოფ. საღოლაშენში ხარკოვის უნივერსიტეტის ერთის ღარიბ სტუდენტის სასარგებლოდ შევკრიბე ორი თუმანი. მომყავს აქვე შემომწირველთა სია, დიდს მადლობას ვუცხადებ ყველას თანაგრძნობისათვის. ეს ფული შემოსწირეს:

სონა ყიფშიძისამ 1 მან., ნინა ჯავახოვისამ 50 კ., საშა კალატოზოვმა 1 მ., შაქრო ყიფშიძემ 1 მ., შიო დედაბრიშვილმა 2 მ., ალექსანდრე ყიფშიძემ 2 მ., ივან დავითის ძე ავალიშვილმა 1 მ., დუშიკო ფალავანდიშვილმა 1 მ., მიშა ციციშვილმა 1 მ., სანდრო ჯავახიშვილმა 1 მ., ვასილ კალატოზიშვილმა 1 მ., აბელ კალატოზიშვილმა 1 მ., ილიკო ყიფშიძემ 50 კ., სადიკო წერეთლისამ 1 მ., სარდიონ ამირეჯიბმა 1 მ., იულია კალატოზოვისამ 1 მ., ქაიხოსრო ავალიშვილმა 1 მ. და მაკინე ამირეჯიბმა 2 მ.

კნ. მაკინე ამირეჯიბი

—

უგულითადეს მადლობას ვუცხადებ ნიკოლოზ გიორგის ძე სესიაშვილს, რომელმაც კარდენახის სახალხო უფასო სამკითხველოს შემოსწირა ასი მანეთი.

სამკითხველოს გამგე კნ. ელენე აფხაზი

## „ივერიის“ ფოსტა

**ვ. რ—ს.** თქვენი ლექსი „ზოგიერთა საგულისხმოდ“ არ დაიბეჭდება.

**მუშას ა. რ—ს.** არ დაიბეჭდება.

**მეცამეტეს.** „საახალწლო საუბარი“ არ დაიბეჭდება.

**ბუნჩულას.** ლექსები არ დაიბეჭდება.

**მ—ია ბ—ძეს.** „შოჰა“ ლექსი არ დაიბეჭდება.

**ლვანქითელს.** თქვენი ლექსი „შეხვედრა“ არ დაიბეჭდება.

**ბაჟელ დიდგულაძეს.** ლექსები არ დაიბეჭდება.

**ტეხურის პირელს.** არ დაიბეჭდება.

**ს. თ—თი ზაქე—ს.** თქვენი ვინაობა გვაცოდინეთ.

**მ. ქ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ქ—სი. ი. ქ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**ცნტოსპირელს.** ლექსებს ჩვენ ნუ გამოგვიგზავნით, თქვენს ნაცნობებს წააკითხეთ ხოლმე.

**ქ-ნს ნეონილე ჩხეიძეს.** თქვენის წერილის დაბეჭდვა ბ-ნ ს. თოფურიას შესახებ შესაძლებლად არ მიგვაჩნია მკურნალის ს. თოფურიას იმ შენიშვნის შემდეგ, რომელიც დაბეჭდილია „Нов. Обоз.“-ეში 12 იანვარს ამა წლისას, № 5157.

**დ. ჭ—რა. ბ. ვ—ძეს.** „ნეკროლოგი“ არ დაიბეჭდება.

**დ. შ—რი. ი. ჩ—ს.** არ დაიბეჭდება.

**კ. ცაცას.** არ დაიბეჭდება.


## განცხადებანი



როიალი



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება,

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა ბ. მ. მირიმანიანისა

музыкальное депо Б. М. МИРИМАНЯНА.

Тифлисъ. Дворцовая ул.

(42—5.—28)

1899 წლისათვის მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„ცნობის ფურცელზე“

ფასი წლიურად 6 მან., ნახევარის წლით 4 მან., ერთის თვით 60 კაპ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства, редакція газеты „ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ“.


Дозволено цензурою, Тифлисъ 16 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე